572
1991

ISSN 0132-2958

ბავშვი

1991 წ. აგვისტო №8

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგო.

დალილა ბედიანიძე

ჩემო ლამაზო იაო,
პატარა და გულღიაო,
მზეს შევცინებთ ორივე,
ორივეს ია გვქვიაო.
მეც ია ვარ და შენც — ია,
დედები შეგვხარიანო.
წაიღე ჩვენი ამბავი
ტყეში ჩავლილო ნიავო!

ბიჭი.

ავთანდილ გურგენიძე

— ბიჭი ვარო ქვეყანაზე! —
გიგამ უნდა თქვას...
ზურგზე საფქვავს მოიკიდებს
და წისქვილში ფქვავს.
ვაზისათვის ჭიგოს წვერებს
ბასრი წალდით თლის,
კრუხ-წიწილას დააპურებს,
საბუდარში თვლის.
გურის ტბიდან ამოიტანს
ვედროებით წყალს,
საღამოთი ბაღჩა-ბოსტანს
გულმოდგინედ რწყავს.
ზღაპრების წიგნს წაუკითხავს
პაწაწინა დას,
სიზმრად გულში ჩაიხუტებს
სანისლიას მთას.
არ გამთქვათ და... ლექსებსაც წერს,
არ უჩვენებს სხვას.
ბიჭი ვარო ქვეყანაზე! —
გიგამ უნდა თქვას.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

თინათინისადმი მიძღვნილი

ვაჟა ფშაველას დაბადების 130 წელი

შალვა მარკოზაშვილი

დიდი პოეტი ვაჟა ფშაველა ხშირად ჩადიოდა სოფელ მაღაროსკარში, სადაც მისი უმცროსი ძმა, ბაჩანა, მასწავლებლობდა. რაზიკაშვილებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ სოფლის მღვდელთან, ნიკოლოზ კახიშვილთან, რომელმაც ვაჟას თავისი გოგონა მოანათვლინა და ამგვარად, ნათელმირონობით უფრო განამტკიცა ოჯახების სიახლოვე.

გავიდა ხანი. მაღაროსკარს მყოფი ვაჟა კახიშვილების ოჯახს ესტუმრა. მისი ნათლული იმხანად შვიდი თუ რვა წლისა იქნებოდა. ვაჟა მიესიყვარულა და სახელი ჰკითხა.

— თიკოს მეძახიან! — უპასუხა გოგონამ.

— თიკოს?! — თითქოს გაოცდა პოეტი.

— დიახ... თუმცა ზოგი თინას მეძახის, ზოგიც თინას და თინათინსაც კი.

— მერედა, შენ რომელი გირჩევნია? — ჰკითხა პოეტმა.

— ჩემი მშობლები რაკი თიკოს მეძახიან, ეგა სჯობია! — უპასუხა მან.

— იცი რა გითხრა, გოგონი, — უთხრა ვაჟამ, — ახლა პატარა ხარ და დაე, თიკო ან თინა დაგიძახონ, მაგრამ რომ გაიზრდები, მაშინ კი თინათინი იქნები, ხომ მოგწონს ეს სახელი?

— მომწონს!

გავიდა დრო. მღვდელი კახიშვილი სამუშაოდ სოფელ ქისტაურში გაამწესეს და იქვე დაიწყო მასწავლებლობა მისმა ქალიშვილმა, უკვე თინათინ კახიშვილმა.

ერთ მშვენიერ დღეს კახიშვილების ეზოში ვაჟამ შეაგელვა ცხენი. მასპინძლები სიხარულით გაეგებნენ და შინ მიიწვიეს. სტუ-

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

მარი შეჰყვა, დანაყრდა, მერე კი სულ მალე, წამოდგა და მასპინძლებს განუცხადა: მაპატიეთ, უნდა წავიდე, სასამართლოში საქმე მაქვსო. თიკომ მაშინვე ცხენი მოჰგვარა ვაჟას და მათრახიც მიაწოდა, მერე კი მოკრძალებულად უთხრა: მინდოდა ჩემს ალბომში ლექსი ჩაგეწერათო...

— შვილო, რა დროს ეგ არის? — უსაყვედურა მამამ, — ხომ გაიგონე რომ თქვა, მეჩქარებაო.

— არა უშავს, ჩემო ნიკო. — უთხრა ვაჟამ, — თუ ახლავე გამომიტანს ალბომს, წადილს შევუსრულებო.

თიკო მაშინვე აჩქარებული ნაბიჯით ოთახში შევიდა, ვაჟა კი ცხენს მოახტა და დაელოდა. თიკოს გამოსვლა შეაგვიანდა. უნაგირზე მჯდომმა ვაჟამ ჯიბიდან ქაღალდი და ფანქარი ამოიღო და წერას შეუდგა. როცა ნათლული ალბომით ხელში დარცხვენილი გამოვიდა, — ალბომი დროზე ვერ ვიპოვეო, — ვაჟამ ქაღალდზე დაწერილი ლექსი მიაწოდა და უთხრა, ალბომში ჩადე და სამახსოვროდ შეინახე, ჩემო ნათლულო თიკო — თინათინოო, გამოეთხოვა კახიშვილებს და თელავისაკენ გასწია.

...წელთა სიმრავლით დატვირთულმა და ჯანგატეხილმა თინათინ კახიშვილმა-დალაქიშვილმა თავისი საგულდაგულოდ შენახული ალბომი, რომელშიც ვაჟა ფშაველას ლექსიც იყო, თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა.

აი, ის ლექსი:

რუსთაველის თინათინი
ავთანდილსა ღმერთად სცნობდა,
მან შთაბერა ბრძენის სული
და იგიცა მუდამ ბრძნობდა.
ტარიელის და ნესტანის
მტანჯველებსა დიდად მტრობდა,
საქართველოს ტკივილებსა
გულს იმჩნევდა, ღრმადა გრძნობდა.
ღმერთსა ვთხოვ, რომ იმ თინათინს
დაემსგავსო შენაც, ქალო,
თიკო, შენსა ავთანდილსა
მომძის ტრფობა დაავალო,
ამამაცო, არაინდო
და სხვებზედაც არ გასცვალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა და ბებო.

ტარიელ ჭანტურია

ჩვენი ანა-ანანო,
ნეტა, ერთი, ვისა ჰგავს:
გაიღვიძებს თუ არა,
ჰირჯვარს გადაისახავს!
ჰირის დასაბანად რომ
მიადგება ჰირსაბანს,
სანამ წყალს შეისხამდეს,
ჰირჯვარს გადაისახავს!
ჰირის ბანას მორჩება,
გაიკეთებს წინსაფარს,
და სახლს სანამ დაგვიდეს,
ჰირჯვარს გადაისახავს!
სულ დიმილით ყვებიან
მეზობლები მის ამბავს!
ყველას აინტერესებს,
ჩვენი ბებო ვისა ჰგავს!
ბებიკონა როდესაც
ჰირჯვარს გადაისახავს,
ანანოსაც შეხედეთ —
ნახეთ, ბებო ვისა ჰგავს!

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ᲘᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ

ᲙᲐᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲑᲔᲚᲘ

სამოთხიდან გამოძევების შემდეგ ადამი და ევა თავიანთი შრომით ირჩენდნენ თავს. მალე შეეძინათ პირველი ვაჟი, კაენი. იგი უხეში და გულცივი ადამიანი იყო. მეორე ვაჟი, აბელი კი, პირიქით, — კეთილი და ღვთისმოსავი.

კაენი მიწათმოქმედი გახდა, აბელი — მესაქონლე. ერთხელ მათ გადაწყვიტეს, მსხვერპლი შეეწირათ უფლისათვის. კაენმა მიწის ნაყოფები მიიტანა სამსხვერპლოზე, აბელმა კი — საუკეთესო ბატკანი. მსხვერპლის შეწირვის დროს აბელი ლოცულობდა წმინდა გულით, ხოლო კაენი დაუდევრად აკეთებდა ამას, გული ცოდვით ჰქონდა სავსე. ღვთისათვის მთავარია არა ადამიანის გარეგნული მოქმედება, არამედ მისი გულის სიწმინდე. ის ყველაფერს ხედავს და ამიტომ ზოგიერთისაგან იღებს ლოცვასა და შეწირვას, სხვებისაგან კი პირს იბრუნებს. ჩვენ უნდა ვეცადოთ არა მარტო სხვების დასანახად ვიყოთ კარგები, არამედ მაშინაც, როცა მარტო ვართ, ვილოცოთ, სიკეთე ვაკეთოთ წმინდა გულით.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

ღმერთი ხედავდა კაენის გულს. მან არ მიიღო მისი შესაწირავი, რათა დაენახვებინა თავისი ნაკლი. მაგრამ კაენი ამას ვერ მიხვდა. მას შეშურდა აბელის, იმ დღიდან შეიძულა ძმა და მისი მოკვლა გადაწყვიტა. კაენს ღმერთი გამოეცხადა და გააფრთხილა: ეშმაკი თავისკენ გითრევს, შეებრძოლე ცოდვას და მოერიე, თორემ დაიღუპებიო.

კაენმა ყური არ ათხოვა უფალს, აბელი მინდორში გაიტყუა და მოკლა.

ყოვლადმოწყალე ღმერთმა ამ საშინელი დანაშაულის შედეგადაც არ მია-

ტოვა კაენი და ჰკითხა მას: "სად არის შენი ძმა აბელი?" სინანულის მაგიერ მკვლელმა დაუდევრად და უსინდისოდ უპასუხა: „მე რა ვიცი, ჩემი ძმის ყარაული ხომ არა ვარ!"

მაშინ კი განრისხდა ღმერთი. — ეს რა გააკეთე! — უთხრა მან კაენს. — შენი ძმის სისხლის ხმა მიწიდან შემომღაღადებს. გწყევლის აბელის სისხლით გაჟღენთილი მიწა და ამიერიდან ნაყოფს აღარ მოგცემს. დევნილი და მიუსაფარი იქნები დედამიწაზე.

კაენი თავის ცოლთან ერთად შორეულ ქვეყანაში გადასახლდა.

ეს საშინელი ბოროტმოქმედება მან შურით ჩაიდინა. სხვისი წარმატების არ უნდა შეგვშურდეს. ყველა ადამიანი ძმად, მოკეთედ უნდა მიგვაჩნდეს და მასში ვეძებდეთ არა ნაკლს, არამედ კეთილ თვისებებს.

ადამიანთა გამრავლება

ადამსა და ევას შეეძინათ მესამე ვაჟი, ღვთისმოყვარე და სათნო სეითი.

კაენსა და სეითს შეეძინათ შვილები. ისინიც მალე გამრავლდნენ. კაენის შთამომავლები ბოროტები, უღმერთოები და თავკერძები იყვნენ, ამიტომ მათ „ადამიანთა შვილები" ეწოდათ. სეითის მოდგმა კი სათნო და ღვთისმოყვარე იყო. ისინი ლოცულობდნენ და ღვთის ნებას ასრულებდნენ. ამიტომ მათ „ღვთის შვილები" ეწოდათ.

დედამიწის პირველი მკვიდრნი დიდხანს ცოცხლობდნენ. ახლად შექმნილ მიწაზე ყველაფერი სუფთა და ჯანსაღი იყო, ადამიანთა სხეულები — ახლანდელთან შედარებით ბევრად უფრო მტკიცე და ჯანმრთელი. იმ დროს დამწერლობა არ არსებობდა და ძველი მართალი ადამიანები, რომლებიც ასობით წელიწადს ცოცხლობდნენ, თავიანთ შთამომავლობას ზეპირად გადასცემდნენ საღვთო ამბებს.

ადამმა და ევამ დიდხანს იცოცხლეს (ადამმა — 930 წელი). ისინი მთელი გულით ნანობდნენ თავიანთ შეცოდებას, მტკიცედ სწამდათ აღთქმული მაცხოვრის მოვლინება. სწორედ ამ რწმენამ იხსნა ისინი და ახლა წმიდანებად არიან შერაცხული.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონო მარიამ!

ლია კობალაძე

ქარი გადაირია,
(ნეტავ რამ გადარია?)
ზეცას წამოუქროლა
და ღრუბლები არია,
ო, რა ძლიერ სისინებს,
ო, რა ცუდი დარია,
გარეთ ვერ გავბრძანდებით,
ქალბატონო მარიამ!
ტუვილად მეკურკურები,
ტუვილად მენარნარები,
ახლა ძილი სჯობია,
ნანა, ნანი, ნანები.
კლიტ-კლუტ, გადაგიკეტო
უნდა სახლის კარები,
თორემ, შე კუდიანო,
გარეთ გაძეპარები.
ნუ აივსე ცრემლებით
ეგ ფოფინა თვალები,
სარკმელს ნუ ეხუტები
გულის აფართქალებით.
სანამ წვიმა შხაპუნობს,
სანამ ცივი ქარია,
გარეთ ვერ გავბრძანდებით,
ქალბატონო მარიამ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევთამჭლეტი.

ნესტან კუპრავა

კობამ ხისგან გამოთალა
მშვენიერი ხმალი:
— ბაებაუდევი სად ბრძანდება,
ის ლაჩარი, მხდალი?
გამობრძანდეს თუ ბიჭია,
ბაქია და ავი,
ამ ბასრი ხმლით წავაცალო
ჯკუამოკლე თავი!
ხმალმოღერებული ბიჭი
მტერს საომრად იწვევს,
მადლობა ღმერთს! არ ჩანს დევი,
და თავს ქებით იქცევს.
შეუეფა მურა ძაღლმა:
— რას ტრაბახობ, ნეტავ?
ბიჭი ღრიალით გაიქცა:
— ვაი, ვაი, დედა!
მეშინია! ძაღლი მომდევს,
მომეშველე ჩქარა!
ბაებაუდევთან მინდა ბრძოლა,
მურასთან კი არა!
კისრისტეხით გაიქცა და
დაიმალა სახლში,
დევს არ უფრთხის — ეშინია
საკუთარი ძაღლის!

მხატვარი ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოცო და გვანცა

მოგზაურობა ისტორიაში

ავტორი — გია ლაფაური

1089 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფე გიორგი II-მ ტახტი თავის შვილს — 16 წლის დავითს დაუთმო. ყრმა მეფემ მტკიცედ მიჰყო ხელი დანგრეულ-გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას.

მეფე დავით IV აღმაშენებელი



ჩვენს ლევიან მეფეს სიმამაცეში ბაღალი არ ეყავს, ეს ერი ბაგალითი სხვებსაც აგნებებს.
აგვა ნინგა ამ ლაბარ ვეთვარს ჭალს კაბა ბაღეაბ-ვა ლა ლაფჭარს ნენ ბაკაბარებინა...

ჯეფარლი ბაკეფლიფვილები ამოუღგნენ მხარეში. ამის ბიოლი ჯუნღილელი და ნიანია აახაბარის-ძე ეოუძლებარან ბარეზნულ ხარხს.

ხარხი ოვის ნასოფლარებს უბრუნდება...

ოვით ლეკთა ეოგვიღლინა ლევიანი, ოსრეთ ფიფი გა-ოთანგულებს ბაგარეფების ხლვინა ჩაგვინერეგა.

ფენელი, ლევიოს ბალლრეები ოსრეთ ლასალეფ-ვიკავს...

ნოდარ შამანაძე

არღანი

მეარღნემ ჩამოიარა,
ააღუღუნა არღანი,
მეც ავღიღინდი მის ხმაზე,
გულმა დამიწყო ღაღანი.
მეარღნე უკრავს, ხანდახან
ღიმილით აგვხედ-დაგვხედავს;
ბაბამ თქვა, ასე ტკბილი ხმა
არ მსმენიაო რამდენ ხანს!

ჩვენი ყანა.

ბაბამ ღვთიშობელს ახედა,
გადაიწერა ჭირჯვარი,
და მერე დიდი ნაკვეთი
მიწა აიღო იჯარით.
გაახალისა ნაკვეთმა,
ბარი და თოხი გალესა,
დაანაკელა, დაბარა,
დახნა, დაფარცხა, დათესა,
ნაკვეთმა მალე იყანა,
შიგ დატრიალდა ღვთის თვალი,
სიმინდმა მუხლი იყარა,
უხვად დაეფრქვა ცის ცვარი.
ბაბას მარგვლაში მეც ვშველი,
მეცა ვარ ერთი მშრომელი,
თავს დავტრიალებთ ყანასა,
მოსავალს უხვად მოველით.

მხატვარი **გიორგი ჩაჩანიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბავი მდინარის ძმისშვილ კურდღელზე.

თინათინ ჭეჭია

გათენდა. ცალი თვალი გავახილე თუ არა, ჩემი პატარა ძმა კოწო ამესვეტა ფანქრებით და ბაბუას სამართებლით ხელში.

— წამითალე, რა!

რა უთენია იღვიძებს ეს ბავშვი! ბებიაჩემს ჯერ ძროხებიც არ გაუდენია. ან ეს სამართებელი როგორღა ჩამოიღო ბუხრიდან?! რომ შეხედო, ერთი მტკაველაა. თავი, მულტფილმებში რომ ზღარბებია, იმას მიუგავს. იმათი ეკლები, თუ ხელი არ ახლე, არ ოჯაგრებიან, ამის თმებს კიდევ, წებოც რომ წაუსვა, მაინც აზღარბულია.

— სამართებელი დადე თავის ადგილას, თორემ მოგხვდება.

— ალავინ ალ ალის სახლში, ვინ დაინახავს, წათალე და მელე დავდოთ.

— ბიჭო, შენ ხომ არ აურიე ცოტა, გინდა ბაბუამ გვერდები აგიჭრელოს? შენი გულისათვის მე არ გაველახვინები, ჩქარა დადე თავის ადგილას!

არა, ისევ იქვე დგას, არც უფიქრია წასვლა. ახლა ამის ამბავი რომ ვიცი, არ მომეშვება.

— ჩქარა მომეცი, სანამ ბებო მოგვისწრებდეს! — კოწომ ხუთი ფანქარი მომაჩეჩა. ცისფერი წავთალე, ყვითელსაც ბოლო მოვუღე, წითლისგანაც ნახევარიც არ დარჩა... რა მაგრადა თლის ეს სამართებელი — გაფიქრებაც ვერ მოვასწარი და ცერა თითიც ავითალე. ვაიმე! ბებოც მოდის, ჭიშკარი ჩაკეტა და პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა. ეს სარაფანიც უაუღმა ჩამიცვია. სამართებელი ბუხარში შევაგდე, სისხლიანი ცერა სარაფნის კალთაში შევახვიე და უკანა აივნიდან პირდაპირ სამინდის ყანაში შევვრეიეთ. ეს ბიჭი რომ არ ამეკიდებოდეს, რა მიჭირს, ბებია სახლში რომ ვერ გვნახავს, ძებნას დაგვიწყებს. არაფერიც! ლიზიკო ბიცოლამ დაუძახა. მორჩა! ახლა ესენი შუადღემდე მანდ იდგებიან.

შურა დეიდასთან ვაპირებთ წასვლას, ჩვენი სოფლის ექიმთან, სანამ იქამდე მივიდოდეთ, ჩაის პლანტაცია უნდა გავიაროთ. უცებ ბუჩქებს შორის ლიზიკოს დიდი ბიჭი ლუკა არ მორბის! ხელში თოფი, ფეხებზე რეზინის ბოტფორტები. «ნეტავ რა დროს ნადირობაა ამ ივნისში?!» — გაფიქრებაც ვერ მოვასწარი და ბრახ! რაღაცას წამოჰკრა ფეხი, პირდაპირ თავით ჩაეშვა შალაფა ბალახებში, თან ყვირის:

— მზია! კოწოო! მიშველეთ!

გავიქეცით.

— ნუ გეშინია, ლუკაკო, — ჭყიპინებს კოწო, მივცვივდით და ისიც წამოდგა, ხელში მოზრდილი ციკინსტოლა დედა კურდღელი უჭირავს, მდინარის ქვეშისფერი, გრძელყურება, ულვაშცმაცუნა. სანამ ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათვალიერებდით, მანამ ორმა ცანცარამ ჩაგვიქროლა. ჩაგვიქროლეს და ჩაის ბუჩქებში გაუჩინარდნენ. ვაი! ჩემი ცერა სულ დამავიწყდა.

— ლუკა, გაუშვი რა!! — ვიყვირეთ მე და კოწომ.

ლუკამ თვალები დაგვიბრიალა. დედა კურდღელს, იმ საწყალს, აუდ-ჩაუდის მკერდი. ბაბუამ თქვა: კურდღელი, როგორც კი კაცი დაიჭერს, მაშინვე შიშით მოკვდებაო. ეს ლუკა კიდევ ისეა გაბადრული, გეგონება, ვეფხვი დაიჭირა.

— ხელი უშვი, ლუკა, შაჯაგელო! — ბრაზობს კოწო.

— გაუშვი, რა მოხდა, აგერ შვილებიც ჰყოლია, ახლა ნადირობა ვის გაუგია! იცოდე, ბაბუას ვეტყვი, ჩაიში რომ დაიჭირე! (ბაბუა პენსიის შემდეგ მეველედ მუშაობს).

— ბაბუას, თორემ კანონი არ მომიყვენოს! ბაბუაშენს, გოგო, ჩაის პლანტაცია აბარია, კურდღლები კი არა! — და წავიდა. კოწო ჩაჯდა და ტირის.

— გაუშვას, უთხალი, გაუშვას, ოხელმაა!

ეეჰ, ეგ ლუკა, მე კი არა, დედამის ლიზიკოს არ უჯერებს. ცერადან სისხლი აღარ მომდის. ეს სარაფანი კი ისეა გასისხლიანებული, გეგონება, შეუღებიათო. კოწო ისევ სლუკუნებს. ახლა მეც ავტირდი. უცებ რაღაც მოვიფიქრე და კოწოს ვუთხარი. ისე გაეხარდა, შეხტა და შემოტრიალდა.

წავედით. ლუკას ეზოში უკანა მხრიდან შევიპარეთ, საღამომდე ხუთჯერ მაინც დავზვერეთ. კურდღელი ისევ აქ არის, დამწყვდეული ჰყავს ლუკას. თვითონაც იქვე ტრიალებს. ჩვენ დაფნის ბუჩქებში ვართ ჩამალულები, ისე ჩუმად ვზივართ, რომ ზედ ფეხებზე გადაგვიარა ორმა პატარა ზღარბუნამ და აზრზეც ვერ მოვიდნენ, ადამიანები რომ ვიყავით, ალბათ სოკოებიანი კუნძები თუ ვეგონეთ. მოსაღამოვდა. ახლა ამ ლუკას ვინმე რომ დაუძახებდეს, რა მოხდება? ისე გვშია! კოწომ შუადღისას ბებოს ერთი ლავაში ააცალა ჩუმად და ისევ ჩუმად გამოეპარა. რამდენჯერმე დაგვიძახა ბებომაც. მოვალთ, მოვალთ-თქო! და მერე ყურიც მოვიყრუეთ, ვითომ არ გვესმის. როგორც იყო, ლუკამაც ინება წასვლა. სანამ ჭიშკრამდე მივიდოდა, ორჯერ მოიხედა უკან. ჩვენც პატიოსნად მოვითმინეთ და დაკეტა თუ არა ჭიშკარი, ვეცით და კურდღელს კარი გავუღეთ. კისრისტეხით გამოვარდა საწყალი და სიმინდის ყანაში შევარდა. ჩვენც უარესი ფართხა-ფურთხით გამოვიქეცით. ბებია თუთის წკნელით გველოდება ალბათ, მაგრამ რაც არის, არის, დედა კურდღელი ხომ გავუშვით თავის ცანცარებთან, ცმაცუნებთან და კუდიღელა ბაჭიებთან!

ციყვები

ცირა ქიტიაშვილი

დედა ციყვმა გამოგავა
კარ-მიდამო ალაგი,
გამოფინა გასაშრობად
სოკო, კენკრის მარაგი.
მამა ციყვი გაიბღინძა,
რა სიმდიდრეს ვფარავდი,
წელს მაძღარი მეყოლება
ჩემი დიდი ჯალაბი.

მხატვარი გიორგი როინიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბროლის ლარნაკი

ნოდარ კეკელიძე

წყნეთის ბავშვთა სახლის ეზოში ყურის-წამღები ჟრიამული იდგა. მწვანედ მობიბინე ხეივანს ოღლო-ჭოჭო შესცოდა და ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ. მხოლოდ პატარა ნათია არ იღებდა ამ მხიარულებაში მონაწილეობას. იგი ფანჯრის რაფაზე ამძვრალიყო, აჭუა ცხვირი მინაზე მიეჭყლიტა და განაბული, თვალებადქცეული, ნაღვლიანად გაჰყურებდა მოასფალტებულ შარაგზას.

— ნათია! რა დაგემართა, ცუდად ხომ არ ხარ? — მიუახლოვდა დეიდა ანიკო.

ნათიამ ისე შეათვალიერა აღმრდელი, თითქოს პირველად ხედავსო, მერე სათუთად ჩამოუსვა სახეზე პაწია თითები, თვალებში ჩაეხედა და მთრთოლვარე ხმით ჰკითხა:

— დეიდა ანიკო, რომ მეუბნებოდი, დედა მალე მოგივაო, მართლა მოვა?

დეიდა ანიკომ გაეხმარ წვივებზე ხელები მოხვია გოგოს და სიფრთხილით გადმოიყვანა რაფიდან.

— რახან გითხარ, მოვა-თქო, აუცილებლად მოვა და წაგიყვანს, დღეს რომ დაღამდება და გათენდება, დედაშენიც მოვა, ეხლა კი წავედით.

მეორე დღეს ბავშვთა სახლს მართლაც მოადგა შავი „ვოლგა“ და დირექტორის კარი სანდომიანი სახის მოკეკლუცო მანდილოსანმა შეაღო;

— ხომ კარგი, გამორჩეული, ჭკვიანი ბავშვია? — ჰკითხა დირექტორს.

— ჩვენთან, ქალბატონო, ყველა ერთმანეთზე კარგი და გამორჩეული ბავშვია. ლამაზებიც არიან, ჭკვიანებიც და ზედმიწევნით მგრძნობიარენიც. და რახან სერიოზულად გადაგიწყვეტიათ ბავშვის აყვანა, დიდი სიფრთხილე გმართებთ. ისინი საოცრად მტკივნეულად აღიქვამენ ყველაფერს!

ამასობაში ანიკო აღმრდელმა კაბინეტში ნათია შემოიყვანა.

— აი, ნათია, შენი დედიკოც მოვიდა!

ნათია ადგილიდან არ დაძრულა. აბუზული და თავჩახრილი, პაწია თითებს ერთმანეთში ნერვიულად ხლართავდა.

— მოდი, შვილო, ჩემთან! — ხელები გაიშვირა ქალმა ნათიასაკენ.

ნათიამ მხოლოდ ახლა ესროლა მზერა უცნობ ქალს, ქვედა ტუჩი აუცახცახდა და ნაღვლიანი თვალები ცრემლით აევსო.

— მოდი, გენაცვალე! — ხმა გაებზარა ქალს.

— დედიკო! — ბავშვის წკრიალა, მთრთოლვარე ხმამ ირგვლივ ჩაგუბებული სიჩუმე გაფხრიწა. ნათია ადგილიდან მოწყდა და მისკენ მომავალი ქალისაკენ ხელებგაშლილი გაენთო. ქალმა ბავშვი ხელებში მოიქცია, მაღლა აიტაცა და მკერდში ჩაიხუტა.

... ყველაფერი უცხო და უჩვეულო იყო პატარა ნათიასათვის. ხუთოთახანიანი ბინაც, სხვადასხვა ფერის და მოდის ავეჯიც. აუარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ჭრელა-ჭრელა ჭურჭელიცა და მისთვის განკუთვნილი ტანსაცმელიც. ძალიან მოსწონდა იქაურობა, მაგრამ ერთ რამეს ვერა და ვერ შეეგუა, თანატოლების ჩვეული ჟრიამული და ხალისიანი ხმები რომ აღარ ესმოდა. ის კი არა, ბინაში ზედმეტი ხმაურით რომ არ შეწუხებულიყვნენ უფროსები, თავად ნათია და მისი მშობლებიც რბილძირიანი ფლოსტებით დადიოდნენ ოთახებში.

ნათიას მამა დილით ადრე გადიოდა, სადარბაზოს კართან მოყენებულ შავი ფერის ზიკზიკა „ვოლგაში“ ჯდებოდა და ჰერიი, სადღაც გასწევდა.

ნათიას დედა ჯერ აბაზანაში ჭყუმპალაობდა, მერე სარკის წინ კეკლუცობდა, ბოლოს გამოეწყობოდა, ნათიას დაუბარებდა, არაფერი

მხატვარი **ვაჟა ქურხული**

გააფუჭოო, და წავიდოდა.

ნათია კი რჩებოდა მარტოდმარტო ოთხ კედელშუა გამოკეტილი. თამაშით გულს რომ მოიჯერებდა, სარკმელს სკამს მიადგამდა, რაფაზე აძვრებოდა და მონუსხულივით გაჰყურებდა ახმაურებულ ქუჩას. მოგვიანებით კი შევიდოდა თავის ოთახში, წამოწვებოდა და ჩასთვლემდა.

ასე უღიმღამოდ და უხალისოდ გადიოდა დღეები. მალე სკოლაში უნდა დაეწყო სიარული, მაგრამ ამ „მალესაც“ საშველი აღარ დაადგა.

ჰოდა ერთ დღესაც, როდესაც ნათიამ შინდან ყველა გაიგულა, გადაწყვიტა ბინა თავისებურად მიელაგებინა. შეუდგა საქმეს. იქაურობა ისე აირ-დაირია, რომ თაგვი კუდს მოიტეხავდა. რასაც მოერია და წასწვდა, ყველაფერს ადგილები შეუნაცვლა, ბოლოს კი გადაწყვიტა, კარადის თავზე მდგარი უზარმაზარი ბროლის ლარნაკი გაერეცხა. სკამზე შედგა, ლარნაკს წასწვდა და მკერდზე მიიხუტა, მერე ჩაყუნწდა, ცალი ფეხი ჩამოიკანჭურა კიდეც, რომ ამ დროს სკამი შეტორტმანდა, აყირავდა და ძირს ჯერ ლარნაკი წამოვიდა ბზრიალ-ბზრიალით, შემდეგ კი ნათიაც გადმოჰყვა. ლარნაკის ნამსხვრევები ირგვლივ მარგალიტის მძივებივით მიმოიბნა.

მშობლებმა მკაცრად დასაჯეს გოგო. ჯერ იყო და, დედამ ისეთი სილა გააწნა, რომ ნათიას თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. მერე ოთახში ძალისძალით შეათრიეს და თან მიაძახეს, მანდ ეგდები, სანამ შიმშილით სული არ ამოგძვრებაო.

მოგვიანებით კი ნათიას კაცის ხმა შემოესმა:

— ახია შენზე — საყვედურობდა დედას, — ასეთ გომბიოს რომ მოათრევდი შინ, რა გეგონა? საიდანაც მოგიყვანია, ისევ იქ მიაბრძანე, მე მაგისთანა მხეცს ვერ ავიტანო!

ნათიას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ოთახის კუთხეში მიმჯდარი გულამომჯდარი ტიროდა.

დილით, როგორც კი უფროსები სახლიდან გავიდნენ, ნათიამაც კარი გაიკეტა, პირველი შემხვედრი ტაქსი გააჩერა და მძღოლს სთხოვა, წყნეთში ამიყვანეო.

— წყნეთში რა დაგრჩენია, შვილო? — შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათვალიერა შოფერმა თითისხელა გოგო.

— წყნეთის ბავშვთა სახლში მუშაობს დედა!

— დედა მუშაობს? — თვალები მოწკურა შოფერმა, — კეთილი, აგიყვან, დაჯექი!

ჭიშკარში ჯერ ნათია შეეიდა, მერე შოფერი.

— აბა, რომელია დედაშენი? — ჰკითხა ძია შოფერმა. ეზოში მდგარ თეთრხალათიან ქალებში ნათიამ უმალ შენიშნა დეიდა ანიკო და ისე გავარდა მისკენ, თითქოს ქარმა მოიტაცაო. გარბოდა და თან ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა: — დედიკო, დედაა.

— ჰმ, — თავი გაიქნია თვალცრემლიანმა ძია შოფერმა, — დმერთო, დაგელოცა სამართალი, რა არის ეს დედაშვილობა, კაცოო!

19 X 33

დედისერთა დაჩი და ზღაპრები.

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ემზარ კვიტაიშვილი

დადგა მწუხრი.ვაშლის ძირში
ნეტავ ეს რა ფაჩუნია?
შიშობს,
დედას ეხუტება
თითისტოლა დაჩუნია.
თავზე კოცნის დედა ეამწვილს:
„რამ შეგაკრთო,
გახსენ წარბი,
ვერა ხედავ? — საშოვარზე
გამოსულა ტეიდან ზღარბი.
იმას ჩვენი ეშინია,
შეუმტრავს დრუნჩი მაღლა,
შრომას აჩვევს ჰაწაწინებს,
სამი შვილი თანვე ასლავს...
მორთო, როგორც დათვის ბელმა,
ხტუნაობა და ბაჯბაჯი:
„რა იქნება, მეც ასეთი
ძმები მეყოდეს!..“ — ნატრობს დაჩი.
სეირნობენ მთვარის შუქზე
და ჰამაკშიც ერთად სხედან;
ძმებს სულ მალე ეიეიდიო, —
სიტყვას აძლევს დაჩის დედა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არწივი.

არწივს ფრინველთა მეფეს უწოდებენ და მისი გამოსახულება ზოგი ქვეყნის გერბზეა აღბეჭდილი. ალბათ იმიტომ, რომ არწივი წყეულის, ქათმის და კურდღლის ხორცს განურჩევლად ერთნაირი მადით მიირთმევს ხოლმე. ამით არწივგერბიანი ქვეყნების მმართველები თითქოს გვაფრთხილებენ, რომ მათთვის სულ ერთია, ვის დაიპყრობენ და გადაყლაპავენ, საკუთარი რჯულისა და მოდგმის იქნება, თუ წყეულისა ან სპეტაკისა. ამიტომ არის, არწივის დანახვაზე წყეული მიწაში მიძვრება, სპეტაკი კურდღელი გარბის და ცდილობს, როგორმე ჩირგვს ან ხეს შეაფაროს თავი, ქათამი კი ატეხავს ერთ უშველებელ კრიახს, ისეთს, კვერცხის დადების დროს რომ იცის: აკაკანდება, დაიწყებს ქაქანს: შეხედეთ, რა კვერცხი დავდე, ისეთი მამალი გამოიჩეკება, რომ არწივს კუდით ქვას ასროლინებსო; ჩემი მოდგმა არწივისაზე უფრო ადრე გაჩნდა ქვეყანაზეო, უფრო ძველიაო. ჩემისთანა კაკანი მას როდი შეუძლიაო, და ასე შემდეგ. ის კი ავიწყდება ჩვენს ქათამს, რომ მაინც არწივისა და მისი მოდგმის: ქორის, ორბის, ძერის და მათი მსგავსი მტაცებლების კერძია. ამიტომ ქათამი კაკანს რომ მოეშვებოდეს და ჩუმად დადებდეს კვერცხებს, შემდეგ დამშვიდებული ჩეკდეს წიწილებს და ზრდიდეს მძლავრ დეზებიან მამლებს, ის ერჩიოს. იქნება ისე მომრავლდეს მისი მოდგმა, რომ ვერც არწივმა და ვერც მისმა მსგავსმა სხვა მტაცებელმა ვერ გაბედოს ქათმის ოჯახზე თავდასხმა. ღმერთმა ინებოს, რომ ქათამს შეესმინოს ეს შეგონება.

გრიგოლ რურუა

ცხოველებიც მოგზაურობენ

ყველამ იცით, რომ ფრინველების უმეტესობა გვიან შემოდგომაზე თბილ ქვეყნებში მიფრინავს. ის კი, ალბათ, არ გეცოდინებათ, რომ ზოგიერთი ჯიშის პეპელაც მიფრინავს ამერიკასა და შუა აზიაში.

მოგზაურობენ პინგვინებიც. ისინი ცურვით და ფეხითაც შვიდას კილომეტრ მანძილს გადიან, სანამ იმ ადგილს მიაღწევდნენ, სადაც თავიანთ ნაშიერებს შობენ ხოლმე. შობადობის დროს ისინი არ ხმენდან. დგანან ანდა დადიან და თან დაადგენ თავიანთი ერთადერთი, ფეხებქვეშ ამოდებული, ნახევარი კილოგრამი სიმძიმის კვერცხი. ეს ძალიან სასაცილო სანახავია.

კარგა შორს მოგზაურობენ ზოგნაირი თევზებიც, თეთრი დათვებიც.

ზოგ ცხოველს კი მოკლე გზის დასაფარავად ხანგრძლივი მოგზაურობა სჭირდება. ამბობენ, რომ ყველაზე ნელა დადიან კუ და ლოკოკინა. მაგრამ ეგრეთ წოდებული ნელმავალი კუზე უფრო ნელა დადის. ხოლო ყველაზე უფრო ნელა ქამელეონი მოძრაობს. თან, რამოდენიმე კილომეტრის გაცოცების შემდეგ, მთელი დღე უნდა დაისვენოს.

ილუსტრაციები **გიორგი როინიშვილი**

სახალისო ამოცანა

შოთა ამირანაშვილი

— ბევრი და-ძმა გყავს, ბიჭუნა? — ჰკითხა ნაცნობმა მუხრანს.
— ორივე თანასწორადო, — რიცხვის უთქმელად უთხრა, — ოღონდ კი ჩემს დას კი ძმაია ჰყავს დებზე ორჯერ მეტი.
რამდენი და-ძმა ყოფილა, რომელი უმალ მეტყვის?

კროსვორდი



გიორგი კუდარავა

ვერტიკალურად: 1. სახელმწიფო ევროპაში. 2. ძველი ციხესიმაგრე საქართველოში. 3. ფსევდონიმით ცნობილი ქართველი მწერლის ნამდვილი გვარი. 4. მსოფლიოში აღიარებული ქართველი მათემატიკოსი. 5. გამარჯვებულთა ჯილდო. 6. სოფელი ქართლში, სადაც ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი მდებარეობს. 7. დეპუტატების მოწვევა სათათბიროდ ყრილობებს შორის. 8. სამხედრო გემების ფლოტი.
ჰორიზონტალურად: 9. რძის ნაწარმი. 2. რაიონული ცენტრი საქართველოში. 5. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი. 10. ჩვილის საწოლი. 11. უძველესი ქართული სამეფო. 12. აზიის სახელმწიფო. 13. მინდვრის ყვავილი, იის მაგვარი. 14. გამზრდელი, ძიძა.

დილა

გამოდის 1904 წლიდან.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯუბა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, კოსტავას 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 23.08.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.06.91 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 60.000, შეკვეთა №1229.

ყდაზე ნახატი
ბესო ხიდაშელისა

6231/125
ინდექსი 76055
ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეხმარეთ ამ ბიჭს, დაითვალოს, რომელ ხეს მეტი ვაშლი ასხია.

მხატვარი ბესიკ ზუბაშვილი